მასწავლებელთა სამუშაო შეხვედრების რეფლექსია

კოლეგებთან გამოცდილების გაზიარებისა და ურთირთთანამშრომლობის გაღრმავების მიზნით შევირიბეთ, 2018 წლის 23 ოქტომბერს, 2018 წლის 22 ნოემბერს და 2019 წლის 25 იანვარს. შეხვედრებზე ვიმსჯელეთ ტრენინგზე განხილული საკითხებიდან რომელი აღმოჩნდა უფრო მეტად საინტერესო და რეალისტური სასწავლო პრაქტიკაში დანერგვის კუთხით და საგნის სპეციფიკის გათვალისწინებით. ვიმსჯელეთ ასევე იმ მოსალოდნელ სირთულეებზე, რომლებიც შეიძლება გამოიკვეთოს განხილული სტრატეგიების სასწავლო პროცესში დანერგვის დროს. დავსახეთ მათი გადაჭრის გზები. ასევე განვიხილეთ თუ როგორ უნდა დაგვეგეგმა გავეთილები და როგორი უნდა ყოფილიყო კარგი გაკვეთილის გეგმა. შეხვედრაზე განვიხილეთ რომ კარგი გაკვეთილის მიზანი უნდა აკონკრეტებდეს თუ რა ცოდნას და უნარ-ჩვევებს მიიღებს მოსწავლე, რისი ცოდნა და უნარებია აუცილებელი მოსწავლისათვის , რომ გაკვეთილი წარმატებული იყოს, რა ინფორმაციას უნდა ფლობდნენ ისინი აღნიშნულ თემასთან დაკავშირებით და რას შეისწავლიან ახალს. ამასთან ერთად , ვიმსჯელეთ თუ როგორ უნდა გავითვალისწინოთ მოსწავლეთა ინტერესები.

აღნიშნულ შეხვედრაზე ვისაუბრეთ , რომ სწავლება მიზნის მისაღწევად უნდა იყოს ეფექტური, ეფექტურობა კი გულისხმობს უფრო მეტის მიღწევას. შეხვედრებზე აღვნიშნეთ რომ აქტივობები რომლებიც გაკვეთილის გეგმაშია გათვალისწინებული ზუსტად უნდა შეესაბამებოდეს და ემსახურებოდეს გაკვეთილის მიზანს. ვიმსჯელეთ იმაზეც, თუ როგორ დავიწყებთ გაკვეთილს, რომ მოსწავლეებს შეექმნათ სათანადო განწყობა. როგორი კითხვები უნდა დავსვათ, რომ გაკვეთილი უფრო ეფექტური იყოს. სამივე შეხვედრის შემდეგ დავგეგმე გაკვეთილი, დავისახე მიზანი და მისთვის შესაფერისი აქტივობები. გაკვეთილი შეუსაბამე ესგ სტანდარტებს, შევურჩიე რესურსები გამოყენებულ აქტივობებს. აღნიშნული შეხვედრები ნამდვილად დამეხმარა და დამეხმარება კიდევ გაკვეთილის სრულყოფილად დაგეგმვაში. ურთიერთთანამშრომლობის გზით გავიღრმავე ცოდნა, რასაც პრაქტიკაში გამოვიყენებ. მიღებული გამოცდილება დამეხმარება ავამაღლო მოსწავლეთა მოტივაცია და ხელი შეუწყო მათი ცოდნის გაღრმავებას, რათა საინტერესო და სახალისო გავხადო საგაკვეთილო პროცესი.

შეხვედრაზე მივაღწიეთ დასახულ მიზნებს, განვიხილეთ ყველა საკითხი რაც გეგმით იყო გათვალისწინებული. ჩატარებული შეხვედრების ძლიერი მხარე იყო თანამშრომლობით მიღწეული შეთანხმება და კარგი გეგმის შემუშავება , რასაც ყოველდღიურად გამოვიყენებ პრაქტიკაში.